





შემდეგ ამ ძლიერ კარგს აზრზე აღარაფერი აღარ ისმობდა და ყველა დარწმუნებული იყო, რომ თფილისის გუბერნიისთვის ცალკე ბანკი გაიხსნებოდა და ქუთაისის გუბერნიისთვის კიდევ ცალკე. ესაა უკანასკნელმა კამისიამ აღარც ამას დაჯერდა და კიდევ განაწილებდა მოინდობა; ცალკე უზენაესი ამხანაგობების გამართვა (товарищества или банки взаимного кредита) მოინდობა! უკან დაწევა არ არის ეს, მაშ რა არის?

ამას გარდა პირველი (უფ. დ. ი. ყიფიანის) პროექტის საფუძველიც ათას წილად სჯობ და ეხლანდელისას; იმ პროექტის საფუძველში ის ჭეშმარიტება მინც იყო, რომ ჩვენებურ თავად-აზნაურებს, როგორც ადგილ-მამულით მცხოვრებ პირებს, საადგილ-მამული ბანკი დახანგრძლივი სესხი უნდა და არა ურთი-ერთი სესხის ამხანაგობები და ექვსი თვის სესხი, როგორც ახალი პროექტი გვიჩვენებს. უკან დაწევა არ არის ეს ბანკის საქმისა, მაშ რა არის?

უფ. დ. ი. ყიფიანის პროექტით, ისეთი ბანკი უნდა დაფუძნებულიყო, რომელიც თითქმის ყველა მცირე-მამულიან თავად-აზნაურებს გამოადგებოდა, რადგან სესხის აღება და გადახდა უფრო გააღვილებული იყო და მით შეუმსუბუქებდა იმთავადიკრებულ მდგომარეობას. ახლანდელი კამისიის პროექტით კი, თელავის უფზში, მაგალითად, ბანკადგან მხოლოდ ორი თუ სამი დიდი მამულის მფლობელები ისარგებლებენ, დანარჩენისთვის, წერილი მემამულეებისათვის, რომელთაც ყველაზე უფრო ეჭირვებათ ფულები, ეს ბანკი სრულებით გამოუსადეგარი და მვენებელიც იქნება ესეც ხომ ბანკის საქმის წარმატება და უკეთეს მდგომარეობაში ყოფნას არ ამტკიცებს!

ერთის სიტყვით, ეხლანდელი პროექტი, რომელზედაც მოამბეალება უნდა მოილაპარაკოს, ყველა ძველ პროექტებზე უარესი და უფრო გამოუსადეგარი და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ საზოგადო. კრება უარ-ჰყოფს იმას და, ზიგანათ დაფიქრების

ლისა არის და ყოველ სამუშაო იარაღს, რომელსაც ერთი და ორი კაცის ჯიბე ვერ აუფა, მთელი სოფელი ჰყიდულობს და ყველანი თანასწორათ სარგებლობენ. წარმოიდგინეთ, როცა ორი სამი კაცი ამოღენა მინდორს დახანავს ერთს დღეს, რამდენი დრო და შრომა შეენახება თითოეულს წყურს სხვა თავის საჭიროების შესახებ! ევროპიელთ კარგა ხანია გაუგიათ, რომ ერთ მანეთის და ახმატება, კავშირი ძლიერებას შეჰქონის და იმისთვის არის, რომ საზოგადო საქმისთვის ისე ცდილობენ, როგორც თავისათვის. ლმერთა, როდის იქნება, რომ ჩვენი საქართველო ამ მდგომარეობას მოესწროს! ფიქრობდი, ევროპიელი კაცის ცხოვრების შემხედვ. ევროპიელს არ ავიწყდება, რომ მას შთამომავლობა ეყოლება და იმისთვის ყოველს მის მოქმედებას სიბეჯითისა და სინდისიანი შრომის ბეჭედი ასეია. ის არ გააკეთებს საქმეს როგორც მე; ის არ იტყვის: «ოღონდ მე გაგატარო ჩემი დღე და ჩემს შვილსა და შვილის-შვილს კისერიც მოუტყებოდა.» როგორც ამბობს ჩვენებური კაცი. ალბათ, ძალიან სასოწარკვეთილებაში უნდა იყოს ქართველი, რომ ყოველს მისს მოქმედებას დროებითი ხასიათი აქვს? რასაკვირველია, ჩვენს ცხოვრებაში ამ მოვლენას თავისი დრო საფუძველი უძევს, მაგრამ მიზეზის მოსპობა კი საჭიროა, — მით უმეტეს არის საჭირო საქართველოს გამოფხიზლება, რომ მისი არსებობა დამოკიდებული იმაზედ, რამდენს ხანს იქნება ის კი-

შემდეგ, მიიღებს ისეთს ბანკის პროექტს, რომელიც ჩვენი თავად-აზნაურების მდგომარეობას საზოგადოთ უფრო შეეფერება და უფრო გამოადგება. ეს ბანკი, ჩვენის აზრით, საადგილ-მამული ბანკი (поземельный банк) იქნება, რომელიც ყველა განათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია გამოცდილია და განსაკუთრებით ჩვენგარი მემამულეებისათვის არის გამოგონილი.

ს. მ.

ამ კვირას ლაპარაკობდნენ ქალაქში, რომ როგორც იქნება მოვესწრებით ჩვენი რკინის გზის გახსნასო, უთუოთ ამ ხუთ-შაბათს უნდა გაიხსნასო. მაგრამ, საუბედუროთ, ერთხელ კიდევ მოტყუებული შევიქნით: გუშინ რომ ხუთშაბათი იყო, რკინის გზის გახსნა, მგონი, არაფერ არც კი უფიქრია. ამბობენ, მართლა უნდა გახსნილიყო, მაგრამ სადაც ფოთისაკენ თუ სურამის ქედზე ნიაღვრს წაუხდენია გზა და ამის გამო იმას კიდევ დაბრკალება მიეცაო. ამგვარ დაბრკალებაებს თუ უცადეთ, ვინ იცის — როდის ვეღირსებით თფილისიდან ფოთს რკინის გზით ჩასვლას!...

მომსწრე კაცები ამბობენ, რომ იმდენი ხალხი, რამდენიც წასულ კვირას მოგროვდა მცხეთას სვეტიცხოვლობაზე არასოდეს არ გვიანავსო. ჩვენც, როგორც დამსწრეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართლა, ძრვილ დიდ ძალი ხალხი იყო იმდღესა. ამბობენ, წინა დღესა და მეორე დღესაც ბევრი იყენენო, განსაკუთრებით თფილისიდან წასული იყენ ბევრნი. ამის მიზეზი სხვათა შორის ისიც იყო, რომ იმ დღეს თფილისიდან მცხეთამდის და უკან რკინის გზით მისვლა მოსტყუებული იყო.

ზურნისა, სახანდრისა, ლოთობისა და სხვა ამგვარ დღესასწაულებში ჩვეულებრივ სურათებს გარდა, ჩვენ ენახეთ მცხეთას ის აკლამები, რომელზედაც დღევანდელ «დროების» ნომერში მკითხველი პატარა შენიშვნას წა-

იკითხავს. სწორეთ რომ ისტორიკოსისათვის სრული ყურადღების ღირსი უნდა იყენ ეს ჩვენი ძველი მამა-პაპების საფლავები, რომლებშიაც ცხლა ჩვენ ზნალოთ იმათ ძელებსა და ზოგერთ დანაშთენ ნიეთებს ცხედაეთ. ამ ნიეთების საშუალობით, ისტორიკოსს შეუძლია განაახლოს ჩვენ თვალ-წინ მაშინდელი ქართველების გონების გახსნა, ყოფაცხოვრება, ჩვეულება, ხასიათი და სხ., რომელიც ყოველი ხალხისათვის ძვირფასს კუთვნილებას უნდა შეადგენდენ...

თითქმის კვირ არ გადის, რომ ამ ჩვენს ქალაქში ქურდობა, ავაზაკობა და ხან კაცის ცველაც არ მოხდეს. ამ კვირაში ავაზაკებმა მოკლეს ერთი ერენის პოლიცის ქართველი აფიცერი, მაიორი თურქისტანოვი. ყოველ ფულის პატრონს ურჩევთ, დამამობით მაგრა ჩიკეტონ კარები.

ამბობენ, რომ თფილისის სემინარიაში უმაღლესის სასულიერო მთავრობისაგან მოსულა ქალაქი, რომლის ძალითაც ამ სასწავლებელში უნდა შემოიღონ ისევე ახალი წესდებულება, რომელიც ამჟამად ყველა რუსეთის სემინარიებში მუშაობს. ამბობენ აგრეთვე, რომ ამ ახალი წესდებულების ძალით, თფილისის სემინარიაში ქართული და საზოგადოთ ყველა ადგილობრივი ენები უნდა მოისპოს და მათ ნაცელათ, ლათინურისა და გერმანული ენების სწავლა უნდა დაწესდესო. თუმცა ამ უკანასკნელი ამბავის სიმართლე ჩვენ დარწმუნებით გვითხრეს, მაგრამ ჩვენ არა გვეჯერა, რომ ამგვარი განკარგულება მართლა მოვეხდინოს სასულიერო მთავრობას; არა გვეჯერა, რომ ქართული ენის სწავლება ისეთს სასწავლებელში მოსპონ, რომლიდანაც ქართულ ენაზე მლოცველნი და ქართველი ხალხისათვის შქადავებლნი მღვდლები გამოდიან...

პეტერბურლის თეატრის ტრუპაში ერთი ჩვენებური მომღერალია, უფ. ქარიძე, რომელიც

ამას წინათ პირველად გამოჩნდა სტენოგრაფიკად, როგორც ჩანს, რუსეთის საზოგადოებას ძლიერ არ მოსწონებია იმის სიმღერა. ის პეტერბურლის უწყებებისა და «ხმის» მუხიკალური რეცენზენტები ორივე თანხმობით ამბობენ, რომ უფ. ქარიძის (ასე მოუწათლავთ უფ. ქარიძე) ხმა ძლიერ მაღალი აქცესო, პიტერბურლის საზოგადოებას ამისთანა ბოხი (ბასი) ხმა მგონი, სულაც არ გაუგონიო, მაგრამ რათ უნდა კაცს ცარიელი ხმა, თუ მოხმარება არ იცისო. უფ. «ქარიძის» მხოლოდ ყვირისო, იმის გალობაში არავითარი გრძობა, აზრის მეტყველება არა სჩანსო, იმან სუსანიანის როლი ითამაშაო, მაგრამ როგორც აქტიორი, სრულებით არ ვარგაო.

«დროების» კორრესპონდენცია

თელავში, აგვისტოს 22-ს ვისწრაფი ვაცნობო თქვენის გაზეთის მითხველებს შედეგი თელავის უფზის თავად-აზნაურების ყრილობისა, ბანკის საქმეზედ. 1) აგვისტოს თავად-აზნაურობა შეიყარა უფ. წინამძღოლელის სახლში, განსახილველად ახლის პროექტისა, რომელიც წინათვე დარიგებული ჰქონდათ მათ გასაშინჯავთ. შეიყარა მხოლოდ ორმოცი კაცი; ვიდრე ლაპარაკი დაიწყო, დევიზები მიემართა იმთ შორის და ყველას გითხაძდი თავის აზრს; ნამეტნავთ მინდოდა გამეგო, რა გულისით ევიდებოდნენ ამ საქმეს და წაეკითხავის მისეცის პროექტი, თუ არა? ჩემდა სამწუხაროთ, დავრწმუნდი, რომ ამ ყოველად სასარგებლო საქმეს ძალიან გულ-გრილად უყურებდნენ და სამის პირის გარდა არც არავის წაეკითხა ეს პროექტი, ზოგს ენის უტოდნელობის გამო და ზოგს, როგორც მითხრეს, მოუტყულობის გამო... წამკითხველთა განებსაც, მგონია, ვერ გამოეცნოთ კარგათ — შინაარსი იმ პროექტისა; ამავდელ მით უფრო დავრწმუნდი, რომ ერთის ყმაწვილის

დედ უმოძრაოთ. მე არ მგონია, რომ ჩვენი დამხმარებლნი — ჩინოვნიკები იქნენ, რომელიც კოლოსავით, წყლის გარდანარეცხვედ, მრავლდებიან ჩვენს მხარეში.

საზოგადოთ უნდა ვთქვა, ძალიან კარგი გავლენა აქვს რუსეთიდან მოსულ კაცებზე ისეთ ქვეყანასაც როგორც პრუსიას; მარტონია, რომ ბერლინის ვიქტორიაში იხვეწიკებს გაზეთები დაუზახეხელში, რომელიც ეტყობოდათ ინტერესით ჰკითხულობდნენ, საკმაო გამოსახედა ამ ორი მფლობელ ქვეყნების განსხვავებას... ბერლინი დიდი და მშენებრი ქალაქია, მაგრამ ისეთი მზგავსება აქვს სახლებს ერთმანეთისა, რომ იფიქრებ, ყველა ერთი არხიტექტორისა და ერთი კალატონის აშენებული არისო; ამისთვის კაცს მალე გიღალდება თვალი. იმდენი სამხედრო ხალხის სიმრავლე, როგორც ბერლინშია, პეტერბურლშიც არ მინახავს და რუსების საქებად უნდა ესთქვა, რომ ისინი ბევრით გავრდილინი არიან პრუსიის სამხედროებზე. უკანასკნელმა ომმა გააამაყა და დაუძრა, ისეც საკმაოთ დაძრული ნემეცის ტინი, პრუსიის მხედრობას. თუ ყოჩაღათ არ იქნებით, ტრეტუარიდან ორმოცჯერ გარდავიძახებს რომელიმე მარისი შეილი. იმათ ამპარტავან სახეს რომ დაუკვირდეთ, იფიქრებთ, თითოეულს ამათვანს თავის ხელით შეუთოკავს ნაპოლეონი და გარიგების ქაღალდზედაც მასვე მოუწერია ხელიო. ეს მარტო ორი კაცის მიზეზი იყო — ბისმარკისა და მოლტკეს

და ამდენ ხალხსა რა აქვს საამაყო? ისა რომ უბრალო მაშინები იყენენ ბისმარკის ხელში?

მოგზაურის ყურადღებას ბერლინში მიიზიდავს ქერიების სიმრავლე. იმდენი შევლენა და შეკაბიანი თუ კიდე სადმე იყო ერთად, ვერ წარმოვიდგენდი. «კარგა ფასათ დასჯდომია პრუსიას ჰალხას-ლოტრენის შოვნა და ხუთი მილიარდი» — იფიქრებს კაცი. მაგრამ ბისმარკს და მის უფროსებს რა დავა აქვთ, ხალხი გაწყდება თუ არა! იკითხოს ამ საბრალო მოკლულთა ქერიებმა, დედებმა, დებმა და შეილებმა!... უნდა მოგახსენო, ნამეტნავთ დაუფიქრიათ ნემეცებს თავის ადგილი კაცობრიობის ისტორიაში: — ამათ რომ ეხედავი, ერთი ჩვენებური ანდაზა მომაგონდა: «გლახი-კაცი რომ ცხენზედ შესვდება, ლმერთი დაეიწყებდება.» ასე ხომ არ არის პრუსიის საქმე? ის უკიდურესი სიძულელი, რომელიც ეხლა ნემეცებსა და ფრანცუზებს შორის არსობს, უფველია, მალე შეყრის ამ ხალხებს ბრძოლის ველზედ და ვინ იცის, როგორი დრო მოგა გამარჯვებულთათვის? კარგი ხუმრობა იქნება, რომ ვიქტორ ჰუგოს წინასწარმეტყველობა ასრულდეს! როდესაც ევროსალში ნაციონალურ კრებაში სხვადა სხვა დეპუტატები აძაგებდნენ და ემუქრებოდნენ პრუსიას, მარტო ჰუგომ შესწირა დიდი მადლობა გერმანიას, მან სთქვა:

«ჩვენ დიდი დაჯალბული ვართ გერმანიისაგან; ის ჩვენი სიყვარულისა და მადლობის დიხსია იმ სიკეთისთვის, რომელზედ ჩვენ მან ვკაეო. ჩვენ გვეუფა დასპოტი, ჩვენ მის ფესქვეშ ვიგდეთ და

გერმანიამ საუკმაოთ მოგვამოხა ეს დასპოტი; მან განგვათავისუფლა მონააბისისაგან და ესლა ჩვენ იმისი წყალობით თავისიუფაღნი ვართ. მაგიერს ჩვენც გარდაჯდათ მას, და ან დავპოებით ვაღმი. ჩვენ შეკვალთ ბერლინში და გეტყვით ხალხს: მამის თქმის გვიშეაღე ჩვენ, ესლა ჩვენ განგათავისუფლებთ შენი დასპოტისისაგან და აწ სამანადისოთ გვემხდენთ თავისუფლებს. მამან საფრანგეთი და გერმანია ორივე რესპუბლიკა, როგორც ომნი ძლიერნი დები, გარდასკვებიან და ეტყვიან კრთმანეთს: «აწ უფრისისმდე აქნეს ჩვენს შორის თანხმობა და საყვარული. განა არ იგი, დაო, რომ ჩვენი სიძულელი და ხალხის ყლეტა, სოფლეებისა და ქალაქების დაწვა და დახვრევა ჩვენი დასპოტების სურვილი იყო?» მამან დაანდებდა ჩვენსაზედ მშვიდობისათა და კაცობრიობის დაწერებას ერთი მეორესთან მიხეზი ომისა. აი რა გვიქნა გერმანია.» — დაუშტა ჰუგომ დასტაში. მართლა რომ ახირებული საქმე იქნება, თუ იმავე საწყაულით მიუწყეს ფრანცუზებმა ნემეცებსა, როგორითაც მათგან მიიღეს? ამ წინასწარმეტყველებას მეორე საფუძველიც ემატება: «რომელი აღმალდეს მახელითა, მახელითა წარხდეს იგი.» აქ, რასაკვირველია, ჩვენ ვამბობთ მხოლოდ მხედრობაზე, თორემ ხალხი წაგვაში არ დარჩება... ძნელი დასაჯერებელი არის, რომ ევროპაში უპირატესობა პრუსიას იფათ დაუჯდეს!

დ. სურბანისშვილი.



კაცისაგან სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ბევრი დარჩა გაშტერებული, რომ ისე არ გამოვიდა საქმე, როგორც იმათ ეგონათ და ერთმა წარმოსთქვა კიდევ, რომ მე აქამდინ სრულიად სხვანაირათ მესმოდა ეგ პროექტიო. არ გაგონილა იმისთანა უყურადღებობა და გულგრილობა, რაგვარსაც საზოგადოათ ჩენნი ხალხი იჩენს ამ საყოველთაო საქმეში. თითქოს იმდენი ბანკები გვექმნდეს დაწესებული და ჩენნი მდგომარეობა ისე კარგათ იყოს, რომ იმის გაუმჯობესობისათვის მოფიქრება საჭირო არა იყოს რა!

ნაშუადღევს, პირველ საათზედ, კეთილშობილთ წინამძღომელმა სთხოვა საზოგადოებას, მოესმინათ მოწერილობა გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღომელისა. ის თხოვდა კეთილშობილთ აზრს მისგან გამოგზავნილ პროექტზედ. წაკითხვის შემდეგ, წინამძღომელმა სთხოვა საზოგადოებას აზრის წარმოთქმა. მე გულმა ძვერა დამიწყო, ვიფიქრე: ვაი, თუ ძლიერს გვიჩვენებდათ, რომ თქვენს კაცობას პატივი დასდონ და მოუფიქრებლათ, ერთბაშით აღვიარონ თანხმობა! მაგრამ არა, ამათაც სცოდნიათ, რომ «დაბერებულს ბუღბუღს შტეგნანი აღარ უვარგანან...» ხანგრძლივი სიჩუმე მოსპოთ. ლევან ჯანდიერმა. მოკლე წინასიტყვიანობის შემდეგ, რომელშიაც ადვილათ გასაგონარის ენით გამოხატა იმან ბანკის მნიშვნელობა, ეხლანდელი ჩენნი მდგომარეობა, უგულისყურება ჩენის საზოგადოებისა ამისთანა საქმეზედ, რომ ჩენნი კეთილდღეობა და დაღუპვაკც დამოკიდებულია ამ დაწესებულებაზედ, რომ ეს უკანასკნელი საშუალებაა, ჩენის უგზო უკვლო საქმეების გასასწორებლათ, რომ დაუწესებლობა ბანკისა და ჩენი დაღუპვა ერთი იქნება—და ჩენის შემდეგ, რომ საზოგადოებამ კარგათ გაშინჯოს ეს პროექტი, დაეითხოს მკოდნე პირებს და ისე დააწესონ—როგორც უფრო სამჯობინარია,— შეუდგა თვითურთ პროექტის პუნქტების გარჩევას. თუმცა უფ. ჯანდიერმა წინათვე გამოუცხადა საზოგადოებას, რომ ის, როგორც გამოუცვლელი და კარგათ არ დახლოვებულა ამ საქმეში, ძალიან ადვილათ შეიძლება შესცდეს, და ამიტომ სთხოვა წარმოთქმული იმისაგან აზრი კარგათ გაეშინჯათ, მაგრამ, იმან თვითურთს პუნქტზედ ისეთი აშკარა და ცხადი დამარტყევილი საბუთები წარმოსთქვა, რომ მეტის მოთხოვნა არ შეიძლება. ცხადად დაახანა საზოგადოებას, რომ ეს პროექტი თელავის უფედისათვის ყოველად უსარგებლო და დამღუპავი იქნება და რომ დაწესდეს კიდევ ამ წესით, ის იქნება მხოლოდ სასარგებლოთ სამი პირისა და სხვა არავისი, იმისთანა პირებისა, რომელნიც ყველაზედ მდიდრები არიან და უიმისთაც არა უჭირსთარა; დაამტკიცა, რომ მოკლე ვადით სესხობა თელავის მემამულეებისათვის ყოველად შეუძლებელი და დამღუპავია. ანგარიშით დაუმტკიცა, რომ არა-გვარი მიწის ქონანხული ექვსის თვის განმავლობაში არც მოვა და გაყიდვას ხომ ვინდა იტყვის, წელიწადს ნახევარზედ აღარ არ გაიყიდება. ჩვენ არ შეგვიძლიან მოყვანა აქ ყველა იმის საბუთებისა, რადგან ყველა არ გვახსოვს და შეიძლება შეცდომილებაც მოგივიდეს. ამიტომ უფრო კიდევ, რომ, მგონია, თვითონ ის გამოაცხადებს; მოკლეთ აი შინაარსი იმის საბუთებისა: «ჩვენ ყველანი, ამბობდა უფ. ლევან ჯანდიერი, მიწის პატრონები და იმისი შემშუშავებელი ვართ; ფულის გირაო სხვა არა გვაქვსრა, გარდა უძრავის მამულისა, ამას პროექტიც ჰგონობს; ფულს რომ მამულზედ ვიღებ—იმავე მამულმა უნდა მისცეს პასუხი, ესე იგი: იმ მამულის შემოსავ

ვალმა უნდა მოიზაროს ვალი; ეთქვათ, ავიღე სამოცი თუმანი ექვსის თვის ვადით,— გირაოთ მივეცი ასის ღლის ხოდაბუნი; ექვს თვეს უკან აბა რა ღონის-ძიებით მოსთხროთ სამოცი თუმანი? ეთქვათ, ისესხეთ ეს ფული სექტემბერში;—უნდა იყიდოთ თესლი, სამოცი კოდი მინც მოუნდება, ორ მანეთათ რომ იყიდოთ კოდი—120 მან იქნება. გუთნეულიც იყიდეთ ექვს უღელა, აუღელი სამ თუმანათ—სულ იქს—180მ. ეთქვათ, დანაშთენი 300მ. წავიდეს იარაღის სყიდვაზედ, გუთნის დედაზედ, მეხრეებზედ, მომკაზედ, მოღვეწაზედ, მოტანაზედ, მგონია, არ იყოს კითქვენ უნდა დასთესოთ ოქტომბერში, მომკათ მეორე წელიწადს თბათეში, გაღვეწოთ და დააბინაოთ სექტემბერში, ესე იგი წლის შემდეგ ფულის აღებდამ. ძალიან ბევრიც რომ მოგივიდეთ, თუ მაშინათვე კალაზედ გაჰყიდით, ძალიან იაფათ წაიღებენ და თუ არ გაჰყიდით, ბანკი მამულს გაგიყიდით. რა უნდა ჰქნათ მაშინ? ან პური უნდა გადაჰყაროთ უფასოთ, ან მამული დაკარგოთ. აბა ამისთანა შემთხვევაში სასარგებლოა იმგვარი ბანკი, რა გვარსაც ეს პროექტი გვიჩვენებს? უცებ დაისცყოთ, ან დიდი მოაკალო არ მოგივიდეთ, მაშინ ხომ დაგკარგათ თქვენი დიდი ასი ღლის ხოდაბუნი სამოცი თუმანიში, ესე იგი დღიური ექვს მანეთათ... დიდი განსხვავება იქნება, რომ ეს სამოცი თუმანი ოთხის წლის ან მეტის განმავლობაში მოიზაროთ ნაწილ-ნაწილ. თუ იმ მამულს შემოსავალს არ მოაზრობინეთ ფული, რომელზედაც აიღეთ და სხვა ღონის-ძიებით მოიზაროთ, მაშინ ბანკს თავისი მნიშვნელობა დაეკარგება და კეთილს კი არ მოგანტყვობთ, დაგლუპავთ. ბატონებო, ამას რა დიდი სჯა უნდა: ფულს ვიღებთ მიწისათვის, მიწა თხოვლობს ხანგრძლივ მუშაობას, მაშასადამე ნაყოფსაც გვიან მისცემს, ფულიც გვიან შემოვა—და მოკლე ხნით ნახსენს აბა როგორ მოიზარებთ? თუ იტყვიან, ჩვენებურათ მუშაობას ბევრი ხარჯი სდევსო და ახლის წესით შევიტოვებთ, ესე იგი ევროპიულათ, მაშინ მაშინები და ხელოსანი გინდათ; პირველში ამაზედ უფრო მეტი დაინარჯება და შემდეგ კი, რამდენსამე წელიწადს უკან, ბევრს მოგცემთ, მაგრამ მანამდინ ვინ დაგაცლოთ? ვენახების შემუშავებისათვისაც ღვინობისთვის უნდა აიღოთ, მეორე ღვინობისთვის მისაყალი არ გვექმნებათ და იმ მოსავალსაც მეორე მისამდინ ძლიერს გაჰყიდით და ისევე ის დაგეჰრებთათ, რაც ზემოთა ესთქვი. ამ საბუთის გამო, ლევან ჯანდიერი ამბობს, მოკლე ხნობით სესხობის გამოუსადეგობას. «მაშასადამე, თუ ბანკი დაწესდება მამულის პატრონებისათვის და გირაოთ იქმნება მამული—სესხის ვადა უთუოთ უნდა იყოს ხანგრძლივი, რომ მამულიც გაუმჯობესოს და ნაწილ-ნაწილ, ყოველ წელიწადს შეიყოს ნახსენები ფული.»

«ახანაგობით ბანკის შედგენა ჩვენს უფედში ყოველად შეუძლებელია, ნამეტნავათ თუ ის ფულიც დაურთავთ, რომელიც დაქერილია; არა მგონია, ათი კაცილა გამოვიდეს, რომ იკისრონ ხელმოვრეთ შეტანა და ისინიც უთუოთ შექმდებელთაგანი იქნება, ასე რომ მომეტებული ნაწილი ცარიელზედ დარჩება და მე მგონია, არა თუ მართო მამულის მოყვარე კაცი, ყველა კეთილი კაცი იმას უნდა ჰხრუნავდეს, რომ კეთილდღეობა მიანიჭოს მომეტებულ ნაწილს ხალხისას და არა მართო რამდენსამე პირს, რომელთაც თითქმის არც კი უჭირთ. ერთისა და ორი პირის დაღუპვას ბევრს არას შემოიჩენს ქვეყანა, ათისა-და ოციასანი, მგონია...» შემდეგ ლევან ჯანდიერმა სთქვა: როგორათაც მე-3 და 4 პუნქტი პრო-

ექტისა მოითხოვენ, იმისთანა მამულები ორის მეტს თელავის უფედში არავისა აქვს, მაშასადამე დანაშთენი ვერც ამხანაგათ გახდებინაო და ვერც ფულს ისესხებნო. დანაშთენ პუნქტებზედ, მე მგონია, საჭირო აღარ იყოს ლაპარაკიო. დასასრულ თავის სიტყვისა უფ. ჯანდიერმა წარმოსთქვა, რომ ამ პროექტის შემდგენელებს ძალიან ცოტა ცოდნა ჰქონიათ თელავის უფედზედ და იქ მცხოვრები ხალხის მდგომარეობაზედ, ამისათვის იმან უჩივრა აღმოიჩინოს საზოგადოებამ თავის შორის კამისია, რომელსაც მინდონ გაშინჯვა და დაუასება ამ ახლის პროექტისა და, თუ კიდევ იქნება საზოგადო ყრილობისაგან აღმოჩენული კამისია, ბანკის შესადგენათ, უთუოთ იმ კამისიის წევრათ თავიანთი დეპუტატი იყოლიონ ვინმე, რომელსაც შეეძლოს ახსნა იმ უფედის მდგომარეობისა, იმის გაჭირვების და ხალხის ყოფაცხოვრებისა. ეს იმ აზრით, რომ, თუ კამისიან კარგათ არ იცის ყველა მხარის მდგომარეობა, ვერც არაფერს იტყვის კარგს. ამის შემდეგ ბევრმა წარმოსთქვა კიდევ სიტყვა, სხვათა შორის თ. აბელ ჩოლოყაშვილიც. ის ეთანხმებოდა ყველაფერში უფ. ლევან ჯანდიერს, მხოლოდ იმაზედ იღდა, რომ, თუ საზოგადოება აღმოიჩინებს კამისიას, მინდონ იმათ სჯა საკუთრათ უფედის ბანკზედ, რადგან, იმის აზრით, ბანკი უთუოთ უფედში დაწესებული სჯობია საერთო დაწესებულ ბანკსა, მხოლოდ ეგ სჯობა არა ნაკლებ ექვსისა ანუ ათის წლისა იყოსო. ამაზედ ლევან ჯანდიერმა სთქვა, რომ კამისიამ თითონ გასაჯოს და გადასწყვიტოს-უფედში სჯობიან ცალკ ცალკე, თუ საერთოა. ამაზედ მოპკირიფეს ხმა და მომეტებულმა ნაწილმა ისე ისურვა, როგორც უფ. ლევან ჯანდიერმა სთქვა.

გათავდა ბაასი, ჩამოვარდა სიჩუმე. ესთქვი თუ ამ ყმაწვილს კაცს, რომელსაც ჯერ ულუაზნები საგრეხათაც არა აქვს, ვიმ რას დაუჯერებს, მეთქი: რაც უნდა იყოს, ჩვენმა ხახლმა ეს იცის, რომ ბერი ხარისა რქანიც ეწვიან, მაშასადამე ახალ პროექტს როგორ არ მიიღებენ, რომელზედაც ამდენა ხანი ჩვენმა უპირველესებმა თავი დასდეს და იზრომის... მაგრამ მადლობა ღმერთს, ძლიერ დაგწმუნდით, რომ ჩენნი ხალხი ამათ ყოველთვის არ უჯერებს ისე ბრმათ, როგორც აქამდინ იცოდნენ: საზოგადოებამ გამოუცხადა მადლობა თ. ლევან ჯანდიერს და ყველაფერში თანხმობა აღიარა; კამისიის წევრებიც მაშინათვე აღმოიჩინეს. იმედია, რომ თელავის უფედის თავდაზნაურობილად მალე შეეცყოთ უკანასკნელი აზრი.

სიღნაღის უფედელებისა ამ საგანზედ აი რა ვიცი: იქაც ბევრი აღებდა-დაღება ჰქონიათ, მომეტებულ თავადაზნაურობის ნაწილს უარი უყვია იმ პროექტზე, შეუდგენიათ პროტოკოლი, რომელშიაც დიდი მადლობა მოუხსენებიათ მშრომელებისათვის და არ მიუღიათ კი პროექტი. რადგან თავიანთ უფედისათვის გამოუსადეგრათ დაუნახათ.

თელავილამ ერთი ყმაწვილი კაცი გაემგზავრა იქ, ამ ამბის შესატყობათ, და თუ კარგი ამბავი მოიტანა, გაცნობებთ.

კახელი.

### რუსეთი

რუსეთში წელს საზოგადოათ ნამუშევრის მოსავალს ძლიერ უჩივიან; ამის გამო რუსული გაზეთები უჩივენ სოფლის მცხოვრებლებს, რომ სასოფლო ბანკების და პურის მალაზიების გახსნას მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება, რომ ამათი შემწეობით გლეხ-კაცობამ ამ ცუდ მოსავლის დროს ცოტათი მანც მოიბრუნოს სულიო.

ამბობენ, მმართველობა დაარსდა, რომ უსწავლელი და გაიძვრა ადვოკატები ატყუებენ უბრალო და გამოუცდელ ხალხსა და ამის გამო იუსტიციის სამინისტროს ისეთი განკარგულების მოხდენა განუზრახავსო, რომ, ვისაც საშუალო სასწავლებელში კურსი არ დაუსრულებია და განსაკუთრებულ ბილეთს არ მიიღებს, იმას ადვოკატობის უფლება არ ექნებაო.

რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ მმართველობა ამხადებს ისეთს კანონს, რომლის ძალითაც თუ ვისმე რამე დაემართება რკინის გზაზე, საქონელი დაეღუპება ან თვითონ დამარცხდება, ყოველი ამისთანა უბედურება კერძო პირებს ან იმათ ცოლ-შვილს თვითონ რკინის გზის კამაჩიამ უნდა უზღოსო. ამისთანა კანონის გამოცემა განსაკუთრებით ჩენნი ახალი რკინის გზისათვის ძლიერ საჭირო არას.

## უსხო ქვეყნები

### საფრანგეთი

თითქმის ყველა გაზეთები და მთელი საფრანგეთის საზოგადოება ლაპარაკობს ეხლა იმ სიტყვაზე, რომელიც ამ ახლო ხანს გამოეტყვა გრენობლში წარმოსთქვა, ერთს ბანკტზე, ყველაზე პირველათ ეს სიტყვა ერთს ინგლისურს გაზეთში დაიბეჭდა, რომელსაც ტელეგრაფით მოუვიდა თავის კორრესპონდენტისაგან. მმართველობა და განსაკუთრებით ტიერი ამ სიტყვამ ძალიან შეაშინა, რადგან ამბობდნენ, რომ გამბეტამ ახლანდელი მმართველობის პირებზე და მათ შორის ტიერზედაც ბევრი მკვანე სიტყვები წარმოსთქვა და დიდი უწყაოფილება გამოაცხადაო. როდესაც ტიერმა ეს ამბავი გაიგო, მინისტრებს მოუყარა თავი და ჰკითხა—როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ გამბეტა ჩენნი პირდაპირი მოწინააღმდეგე შეიქნაო. მაგრამ ბოლოს, როდესაც ეს სიტყვა ფრანკულულს გაზეთებში დაიბეჭდა, აღმოჩნდა, რომ გამბეტას მართლა სრულებით ისე ცხარეთ არ ულაპარაკნია ახლანდელს მმართველობაზე და წყობილებაზე, როგორც ინგლისურს გაზეთში სწერდნენ. წინააღმდეგ ამისა, ის თავის მეგობრებსა და მომხრეებს ურჩევდა, რომ ახლო საფრანგეთი ისეთს მდგომარეობაში არისო, რომ ჩვენ, ნამდვილ რესპუბლიკელებს, დიდი ჰქუა და წინდახედვა გემართება; ყოველი ჩენნი მოქმედება და საქმე კანონიერს საფუძველზე უნდა იყოს დამყარებულიო. ამათანვე ის ურჩევდა ხალხს, რომ ნურაოდეს ნუ ამოიჩივენ დეპუტატებათ ისეთს პირებს, რომელნიც ერთ დროს მონარხიელები იყვნენ, მაგრამ ეხლა კი ამბობენ, რომ ჩვენც რესპუბლიკელნი შევიქნითო, რადგან საფრანგეთში ახლა მხოლოდ რესპუბლიკური მმართველობა გამოდგებაო. გამბეტა ეუბნებოდა ხალხს, რომ ამისთანა პირების დაწინაურება არაოდეს არ უნდა გეკონდესო, რადგან ესენი რესპუბლიკელობას მხოლოდ იმისთვის იჩემებნო, რომ უფრო ადვილათ დამკვიდრონ საფრანგეთში მონარხიაო.

ვინც ტიერის და გამბეტას ხასიათი და აზრები იცის, ის, რასაკვირველია, კარგათ მიხედება, რომ ამ ორ კაცს შუა, რომელთაც შესჩერებია ახლა მთელი საფრანგეთი, დიდი განსხვავება ირის: საზოგადოათ ტიერისა და გამბეტას პოლიტიკურს და სოციალურს იდეალებში ისეთივე განსხვავება არის, რომგორც მთა და ბარში. მაგრამ ესენი ჯერ-ჯერობით თანხმობით მოქმედებენ, რადგან ორივეს საერთო მტრები ჰყავს და ორივე გრძნობს, რომ



ამ მტრების საწინააღმდეგოთ ამოთი თანხმობა აუცილებელათ. საჭიროა საფრანგეთის კეთილ დღეობისათვის, აქვე უნდა ვსთქვათ, რომ ეს თანხმობა ტიერისა და გამბედაობის, ანუ მმართველობის და რადიკალური რესპუბლიკის პარტიის მომხრეებისა, უფრო გამბედავს კეთილ განიერებასა და გავლენას უნდა მიეწეროს, რადგან ის ბევრს უთმობს ახლანდელს მმართველობას და თავის მომხრეებს ურჩევს მოთმინებას, ამას იმიტომ ზღვრება, რომ ტიერიც თავის მხრით ჰპირდება, რომ ჩემ სიცოცხლეში რესპუბლიკას არ უღალატებო და ეცდები საფრანგეთში იმის დამკვიდრებასა.

მაგრამ ერთი ისეთი საგანია, რომელზედაც ეს ორი კაცი ვერასოდეს ვერ დათანხმდებიან ერთმანეთში: ეს საგანი არის ახლანდელი ნაციონალური კრების დათხოვნა. გამბეტას ჰსურს, რომ ახლანდელი ნაციონალური კრება მალე იქნეს დათხოვნილი, რადგან იმის აზრით და მართლაც, ეს კრება ისეთი პირობისაგან შესდგება, რომელიც თავის დღეში არ ეცდებიან საფრანგეთში რესპუბლიკური მმართველობის სასუფაოთ დამკვიდრებას. ტიერს კი ეს არა ჰსურს, რადგან იცის, რომ მხოლოდ ამ კრების საშუალებით შეიძლება ისეთი კონსტიტუციური კანონების შემოღება, რომელიც იმას განუზრახავს. აი, ეს არის ის პუნქტი, სადაც როდესმე შეეჯერება, შეიტაკება ტიერი და გამბეტა. მაგრამ გამბეტა ამბობს, რომ მმართველობასთან ბრძოლისათვის ჩვენ კიდევ კარგათ მომზადებული არა ვართ, საცმო მომხრეები არა გვყავსო და ამიტომ თავის პარტიას რამდენიმე თვის მოთმინებას თხოვს.

როდესაც გერმანიამ ორი საფრანგეთის დეპარტამენტი დაიპყრო ძალითა, გამოაცხადა, რომ 1872 წლის 19 სექტემბრამდე დაპყრობილი ქვეყნის მცხოვრებლებს შეუძლიანთ გადასწყვიტონ — ჰსურთ იმათ გერმანიის ქვეშევრდომთა დარჩენა, თუ სხვაგან ვაღაფსახლდებიანო. ეს ვადა ახლა გათავდა და გაზეთებში გამოცხადებულია, რომ ამ ორი პიროვნისათვის 95,000 კაცი გადასახლდა საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში; ამათ გამოაცხადეს, რომ ჩვენ გერმანიის ქვეშევრდომობა არ გვსურსო, დაჰყიდეს ყველაფერი, რაც გაჩნდეთ, და წაიღონ.

### ინგლისი

ერთს ირლანდიის ქალაქში ამას წინათ დეპუტატმა ბუტტმა თავის ამომრჩეველებს უთხრა შემდეგი სიტყვა:

ჩემნი სამშობლო ირლანდიის ბედნიერებისათვის აუცილებელად საჭიროა, რომ იმას სრულდებით ცალკე და თავის საკუთარი მმართველობა ჰყვანდეს. ინგლისსა და ირლანდიას მხოლოდ ფედერალური კავშირი უნდა აერთებდეს. თუ ეს კანონიერი მოთხოვნა არა აუსრულდა ინგლისმა ირლანდიას და არ განათავისუფლა ის თავის დამოკიდებულებისაგან, მაშინ მე და ჩემი მეგობრები უფრო ენერგიულ მოქმედებას შეუდგებით.

### ამერიკა

ამერიკა მოუთმინებლათ მოელოს ოქტომბრის, როდესაც პრეზიდენტის ამომრჩევა დაიწყება. დღემდე თითქმის ყველა გაზეთებში სწორდენ, რომ როგორც ჩანს, პრეზიდენტობა ფრილის ხელდება, რადგან იმას მომხრეები თან და თან ემატება. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ამბობენ, რომ ისევ გრანტი გამარჯვებს და პრეზიდენტათ იმას ამოირჩევენო. ამ ყმაზე საშინელი მოძრაობა

არის თურმე ამ ამომრჩევის თაობაზე ჩრდილოეთ ამერიკის ყველა შტატებში. ამომრჩევა ნოემბრის ხუთს გათავდება.

### მცხეთის აკლამბები

(ასალი გამგეობის უფ. ბაიერისა)  
ამ საგნის თაობაზე ამას წინათაც იყო ერთი პატარა სტატია დაშვებული «დროებაში». იმ სტატიაში მოხსენიებული იყო უფ. ბაიერის შარშანდელი გამოკვლევა მცხეთის ძველი აკლამბებისა და საზოგადოთ იქ ნახული ნივთების ისტორიული მნიშვნელობა. მას აქეთ უფ. ბაიერს კიდევ 220 ძველი აკლამბა, ანუ სასაფლაო გაუთხრია და ჩვენი ძველი ისტორიისათვის ბევრი ძვირფასი რამე აღმოუჩენია. ამ სტატიაში ჩვენ გვინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვათ ამ ახალ აღმოჩენილ აკლამბებზე და იმათში ნახულ ნივთებზე.

ამოტეხული ნაწილი ახლად აღმოჩენილი აკლამბებისა მწკრივ-მწკრივად არიან გაყოფილებული; ესე იგი, ერთი რიგი ამ აკლამბებისა რომ ქვეით არის, მეორე რიგი იმის ზევით არის გამოკრებიული. ამან რათ რამდენიმე ეცი და ორმოცი საფალივი ეტაყებივით არის გაყოფილებული. შესანიშნავია, რომ ქვედა ეტაყის აკლამბებში, რომელიც, უეჭველია, უფრო ძველს დროებს უნდა ეკუთვნოდნენ, უფ. ბაიერმა უფრო კარგი ნელოვებისა და კარგათ დამზადებული ნივთები იპოვა, ვიდრე ზედა ე. ი. უფრო ახალს აკლამბებში. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ძველ დროების ქართველები, რომელიც ამ ქვედა აკლამბებში არიან დამარხდნენ, უფრო დახელოვებული და უფრო განათლებული ყოფილან, ვიდრე ის თაობა, რომელიც იმათ შემდეგ უცხოვრია და რომელიც ზემო აკლამბებში არიან დასაფლავებული.

თითქმის ყველა აკლამბები ერთნაირათ არის გაკეთებული; ოთხი კუთხე და ძირი ბრტყელი ქვეით, ანუ ფართო აგურებით არის ამოვებული და ზევითაც ერთი ანუ ორი და სამი ბრტყელი ქვა აქვს გადაფარებული. ზოგიერთი საფლავები ძლიერ ღრმით, თითქმის ერთსავე წყენზე და საყენ-ნახევარზე არიან ამოთხრილი მიწაში.

მოგვყავს შემოკლებული სია იმ ნივთებისა, რომელიც უფ. ბაიერს უნახავს ამ ახლათ ამოთხრილ აკლამბებში: — 1) აგურები, რომელზედაც ზოგზე რენისა და ზოგზე ფინიკის ანბანის მსგავსი ასოებია გამოკვეთილი; — 2) მინის, გარედამ მოვერცხლებული, სტაქანი, რომელზედაც დიარალბული ერკულესია გამოხატული; — 3) საფლავის ქვა ებრაულის ზედწარწერით; 4) ოქროს, ვერცხლის და სხვა მეტალების ბეჭდები, საყურეები, მარგალიტის ქინძის თაგები და სხვა ქალისა და კაცის ტანსაცმელის კუთვნილება; 5) რამდენიმე ვერცხლის ფული სასანიდის (პარსეთის ხელმწიფეების) და საბერძნეთის იმპერატორის იუსტინის დროებისა; 6) რამდენიმე ჯვარი, მინდორზე ნახეს (უეჭველია, ქრისტიანობის დროების უნდა იყოს); 7) ხანჯლები და სხვა რკინის იარაღები და ნივთები; 8) ბევრი თავები კაცისა, რომელშიაც ერთი ისეთი ერთა, რომელიც სრულიად მიამუნის თავის ძელებს ჰგავდა; აგრეთვე სხვა ძელები კაცისა და პირუტყვისა.

რასაკვირველია, ვადაწყვეტი თქვა, თუ რომელს დროებასა და საუკუნეს ეკუთვნის ეს აკლამბები და შიგ დამარხული ერთი, ჯერჯერობით ძალიან ძნელია, მაგრამ ის გარე-

მოება, რომ ამ აკლამბებში თითქმის არაერთარი ნიშანი არ არის ქრისტიანობისა, უნდა გვარწმუნებდეს, რომ ამ ხალხს მეოთხე საუკუნეზე ადრე (როდესაც ქრისტიანობა შემოვიდა საქართველოში) მიიწვეუნდა ეცხოვრა. ამასივე გვარწმუნებს ჩვენ ის გარემოება, რომ ზოგიერთს აკლამბებში უფ. ბაიერმა ნახა ისეთი ნივთები, რომელზედაც ბერძნული და ლათინური ასოებით არის რამდენიმე სიტყვა გამოხატული. მაგრამ ყველაზე უფრო ძველს აკლამბებში იმან ისეთი ნივთებიც აღმოაჩინა, რომელზედაც მხოლოდ ასირიული ებრაული ფიჭები (ასოები) არის გამოკვეთილი. ყველა ესევები რომ მივიღოთ მხედველობაში, ამბობს (კაცისაში) უფ. ბაიერს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ მცხეთის აკლამბებში დამარხულს ხალხს ორი და სამი ათასი წლის წინათ მიიწვეუნდა ეცხოვრა ქრისტეს დაბადებამდინათ.

რომ ამ აკლამბებში იერიელები, ანუ ქართველები არიან დამარხდნენ, — ამასი ის გარემოება გვარწმუნებს, რომ ერთს ძველს აკლამბში თხის ნივთი ნახეს, რომელზედაც ნამდვილი ულვაშებიანი ქართველი კაცი და თავსაკრავიანი ქართველი ქალი არის გამოხატული.

ამის შემდეგ ცხადია, თუ რა ღიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ აკლამბებს ჩვენი ძველი ისტორიული ცხოვრების ასახსნელად დამესასწავლებლად.

### ნარკვი

მმართველობის განკარგულებით, შალიციას მარჯვენა მხარეში გამარჯვებული აღწერილობა იქნა მისგანუკლებს. ამ აღწერილობის დროს 2,500 გაცეს გამოუცხადებია, რომ ჩვენ არავითარ საწმენკავსაც არ ვაგვიანებთ.

ლოანდლის ფორტის გამკვებამ გამოაცხადა ამას წინათ, რომ დღეის შემდეგ ქალაქს გიღებთ ფორტის სამსახურში. იმასმე ორმოცი ქალი გამოქნდა, რომელთაც თხოვნა შეუტანათ ფორტის საგამკვებში, რომ ამ და ამ თანამდებობაზე დაგვიშვეთ, და მართლაც გიღებთ მთლიან. მაგრამ ეს ამავი ფორტის ხინფინაგის (კაცის) არ მისწონებიათ, შეერიდნენ ერთად და გადუწყვეტათ, ჩვენს მთავრობას ვსთხოვთ, რომ ქალაქს ფორტის სამსახურში ნუ იღებენ, რადგან ამის გამო სამსახურის სუბიეგ იზიანებს და ვსუბიეგ დაეცემა. ესენი ამას ამბობენ, მაგრამ ნამდვილად, მგონი, უფრო იმისი ეშინიათ, რომ ქალაქი იმათ ჰგავს, თანამდებობის წაღობევენ.

თვლისა მიწვეულს რომ მიწვეული შინაგანს სესხის ტიარეი იყო, ამ ტიარეში ერთს ასაღებავსა 40,000 მინეთი მოუგას. ამ მოგებას ეს ვაჭარნი ისეთს აღტყუებენ მოუგებას, რომ შეუტყუან თუ არა ეს ამავი, მოუგება თავი რამდენიმე თავის ამსანგანთის და კარგავს ზანთიანად გადაუგვავს. მაგრამ ამ საწვავსა ისეთი უბედურება დამართინა, რომ კაცი უგულს მიგრავს და იმდამსკე მომკვლარს, — ფულის ადგავს ვი არ დარსება...

სექტემბრის 13-ს ბუტტის ბუტტის გაცეს მოუგავს თავი. ერთი იმათგან ყოფილა 28 წლის შემწვილი ვაჭარი, დგოვარტი, რომელსაც სტოლსე ვიგნი დაუგდა. ამ წიგნში სწორია, მე იმისთვის ვიგავს თავს, რომ ბუტტი ვაჭარი მაქვს და ვაჭარს საწვავს ვი ვაჭარს ვაჭარობა. ამას-

თანვე ეს ვაჭარი ამ წიგნში უფროსი ვაჭარს ნაცნობს სწორს, ვინავე უნდა ვუთხროთ მორიგე, რადგან ჩემზე უკეთეს მდგომარეობაში არც შენა ხარო.

მე თუ ოდესმე ვაჭარის ვაჭარობით თავის მოკვლა მომისდა, იმედი კქონდესო, ამგარ ჩემსა არსოდეს არავის არ მივუკმ, თორემ თუ დამიჯერებს, რომ მიუღი კეთილმოაღებური ნაწილი ქართველობის ამოწვევას მაშინ...

ამას გარდა ერთს ბუტტის მოკვლავს თავი, რომელაც ერთს დროს ხომადესს მხარებდა თურმე და ვაჭარი ვაჭარიც ქონდა. მაგრამ კეთილი ცხოვრების მოკვარე ვაჭარი იყო და არც შემოდითად, უფლავს ხარვავდა. წელს ის გამოხატუბებს თურმე სამსახურში და უფროსით დარსა, თან წვრილი ცელ შვილი აწუხებდა. 13 სექტემბრს დღით ის წავიდა თურმე სასაფლაოზე და ნახა, რომ საფლავის მისხრელი ვიღაცათვის მიწას თხრის. მივიდა იმსთან და ჰკითხა: ერთი გაცეს სამეოფე ადგელი როგორ დარსა? მუშამ უთხრა, არ ვიცი, თუ ვინდა ესავე მღვდელთან წავა და ვკითხავო. — ვაჭარს იხსია, უნახუსა. მუშა წვიდა და ეს ვაჭარი ნადგა თურმე თითქმის დამსადებულ საფლავში, ამიღლა ვაჭარს რეკლავური და შიგ შუბლაში იწუტა.

ერთს რუსეთის სოფელში მღვდელს ისეთი სურსი მოუგანათ, რომლის შეწვევითაც იმათ თავის ეკლესიისა და ამსთანავე თავის თავის გამდიდრება უნდადო: სალხში დაგვებს სმ, რომ ჩვენს ეკლესიაში სასწავლოთ-მოქმედი სატი არისო, რომელიც უაველ დღე გატოვ გამოადისო, მართლაც, უაველ ხელახლს ამ სატს დავეტილს ეკლესიაში დატოვდნენ თურმე და დილას ვი სასჯდნენ, რომ ის ვაჭრთ ესენა. ბოლოს აღმოჩინეს, რომ სატი თითონ ეკლესიის მსახურეს გამოქვინდათ თურმე ვაჭრთ.

### ადუგაკტი

ნ. ვალაზი დამიტრისკე ვიფიანო ტფილისის ოლქის სასამართლოს თანამდებობათა კანდიდატი, ქ. ტფილისის, არსენაოლის ქუჩაში, ფულინოვის სახლში, ამ თვის ოქტომბრის თხუთმეტადამ დაწყებითი ყოველ-ღვე მიიღებს მოღვათა დილის 7 საათიდან 11 საათამდინ და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდინ. ფორტით ანუ ტელეგრაფით უნდა მოიწერათ ამ ადრესით: *Тифлиса, Николай Кумани*.

აგრეთვე ყოველღვე მიიღებს სანახავათ მოღვათა საადგოკატო ოთახში, რომელიც ოლქის სასამართლოში არის გამართული, შუადღეს 12 საათიდან ყოველგვარს სადავო, სამსჯავრო და სამიჯრო საქმეებსა და სარეორის, აპელაციის და კასაციის რიგით მათს წარმოებას მომრიგებელ მოსამართლეთათა და საზოგადო სასამართლოებში, როგორათაც ქ. ტფილისში, აგრეთვე ტფილისს გარეთ.

ფასი — დაფიცებულთა ვეკილთა ტაქციით და აგრეთვე დათანხმებით.

### განცხადება

ჩემს ვახანეთში, რომელიც იმყოფების ბებუთოვის ქუჩაზედ, ახლორეს ამირალოვის პანსიონისა, ქვეშართოვის სახლში, იწერების საქმის ქალაღები, ვითარ: არც აბელლიცია, კასაცია და სხვანი, ვგრეთვე პროკეტები ყოველ გარე იურიდიკულ საქმეთა და შეკრულობათა. ირეთვედ შევლად ოდეს საცმად ზომიერი. ბუტტი ჩარეკავი.